საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/314 " 20 " ნოემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესში (დანართი 1)" შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) განსაზღვრავს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პრიორიტეტულობას, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს აქტივობების ან/და აქტივობების შესრულების ვადების განახლების შესახებ პროექტს;";

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. თანამომხსენებლების კომპეტენცია

სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებლები ურთიერთშეთანხმებით:

ა) სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებენ ფუნქციებს და აძლევენ მათ დავალებებს;

ბ) იწვევენ და წარმართავენ სამუშაო ჯგუფის სხდომებს;

გ) ამტკიცებენ სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგს;

დ) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"-„დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პროექტებს.";

გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინება წელიწადში ორჯერ (დეკემბერსა და ივნისში).".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი